

ინფორმაცია
პროფესიული სტანდარტების კომიტეტის შესაბამისობის აუდიტის
ქვეკომიტეტის სამუშაო შეხვედრის შესახებ

2010 წლის 3-6 ოქტომბერს ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI-ს) პროფესიული სტანდარტების კომიტეტის შესაბამისობის აუდიტის ქვეკომიტეტის მორიგი სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ 12 ქვეყნის - ევროკავშირის აუდიტორთა სასამართლოსა და უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI-ს) განვითარების ინიციატივის (IDI-ს) წარმომადგენლები. ქვეკომიტეტს ხელმძღვანელობს ნორვეგიის ეროვნული აუდიტორული სამსახური. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონტროლის პალატა ქვეკომიტეტის წევრი სწორედ აღნიშნული შეხვედრის გამართვის წინ გახდა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI-ს) ცოდნის გაღრმავება/იმპლემენტაცია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციების მასშტაბით;

2. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI-ს) შენარჩუნება - ჰარმონიზაცია;

3. აუდიტორთა სასამართლოების შესახებ სტანდარტების შემუშავება მეოთხე დონის სტანდარტების ფარგლებში (ISSAI 4000, 4300);

სამუშაო შეხვედრა გახსნა ნორვეგიის ეროვნული აუდიტის სამსახურის თავმჯდომარემ - გენერალურმა აუდიტორმა.

სამუშაო შეხვედრები წარიმართა ჯგუფებში დისკუსიებისა და განხილვების ფორმატში, კონკრეტული საკითხების ირგვლივ ყველა წევრი-ქვეყნის წარმომადგენლის მონაწილეობით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ ცალკეულ საკითხზე ჩამოყალიბდა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იყო მიეღწია დასახული მიზნისთვის.

დღის წესრიგის პირველი საკითხი იყო შესაბამისობის აუდიტის სახელმძღვანელო პრინციპების ცოდნის გაღრმავება/იმპლემენტაცია.

შესაბამისობის აუდიტის სახელმძღვანელოს შემუშავების (ISSAI 4000 სერია) შემდეგ დღის წესრიგში დადგა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრების მიერ მისი დანერგვა-იმპლემენტაცია. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია სახელმძღვანელოს ეფექტიანი ფორმებით გავრცელება და ცოდნის ამაღლება. ქვეკომიტეტი მიზნად ისახავს შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას - თუ როგორ, რა ფორმითა და რა საშუალებებით უნდა მოხდეს შესაბამისობის აუდიტის სახელმძღვანელოს დანერგვა.

ქვეკომიტეტის წევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება, თუ როგორ დაჰყავთ თავიანთ ქვეყნებში სტანდარტები აუდიტორებამდე, როგორ

აისახება იგი, ერთი მხრივ, აუდიტის მეთოდოლოგიასა და სახელმძღვანელოებში, და მეორე მხრივ, პრაქტიკულ საქმიანობაში.

ქვეკომიტეტი ყველა წევრისაგან ელოდება კონკრეტულ მოსაზრებებსა და წინადადებებს შესაბამისობის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციისა და ცოდნის გაღრმავების სტრატეგიის შესამუშავებლად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი, რომელიც ეხებოდა შესაბამისობის აუდიტის სტანდარტების შენარჩუნებას, ითვალისწინებს ჰარმონიზაციის პროექტს, რომელიც უნდა განახორციელოს ქვეკომიტეტმა და, შესაბამისად, შემუშავებული პროდუქტი დასამტკიცებლად წარუდგინოს INTOSAI-ს.

ქვეკომიტეტის მიერ განსახორციელებელი სამუშაოს მიხედვით, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) სხვადასხვა დონეებისა და შესაბამისობის აუდიტის სახელმძღვანელოს (ISSAI 4000) შესაბამისობა.

სულ ISSAI-ს სტანდარტები შედგება ოთხი დონისაგან, რომლებიც დროის სხვადასხვა მონაკვეთსა და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა მიერაა შემუშავებული. აღნიშნულმა ფაქტორმა გამოიწვია რიგი დებულებების, ცნებებისა და კონცეფციების არაერთგვაროვნება, რის გამოც საჭიროა მიღწეულ იქნეს ჰარმონიზაცია, რათა ყველა დონის სტანდარტი სრულ თანხვედრაში იყოს.

აღნიშნული სამუშაო საჭიროებს სათანადო დოკუმენტებში ყველა წინააღმდეგობრივი ასპექტის იდენტიფიცირებასა და შესაბამისი ცვლილებების მომზადებას.

დღის წესრიგის მესამე საკითხი, აუდიტორთა სასამართლოების შესახებ სტანდარტების შემუშავება მეოთხე დონის სტანდარტების ფარგლებში (ISSAI 4000, 4300), ეხება აუდიტორთა სასამართლოებს. ამასთან დაკავშირებით ქვეკომიტეტმა უნდა შექმნას სახელმძღვანელო, სადაც მეტ-ნაკლებად გათვალისწინებული იქნება აუდიტორული სასამართლოებისათვის დამახასიათებელი ნიუანსები.

ქვეკომიტეტის წევრებისათვის აღნიშნული კუთხით საკმაოდ საინტერესო იყო აუდიტსა და მართლმსაჯულებას შორის საზღვრის დადგენა. აღნიშნულ საკითხზე ქვეკომიტეტის ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი არიან ის ქვეყნები, რომელთა აუდიტორული სამსახური ჩამოყალიბებულია, როგორც სასამართლო.

დღის წესრიგის საკითხების ამოწურვის შემდეგ IDI-ს წარმომადგენლებმა წარმოადგინეს INTOSAI-ს მასშტაბით განხორციელებული კვლევის შედეგები. მასალა მომზადდა იმ სპეციალური კითხვარის საფუძველზე, რომელიც დაეგზავნა მსოფლიოს ყველა უმაღლეს აუდიტორულ ორგანოს (მათ შორის, საქართველოს კონტროლის პალატასაც). ანალიზი თვალნათლივ ადასტურებს, რომ უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებში აუცილებელია მდგრადი განვითარების პირობების უზრუნველყოფა. აღნიშნული საკითხი გლობალურ ჭრილში განხილულ იქნება INTOSAI-ს XX სესიაზე.

მომდევნო უახლოესი პერიოდის განმავლობაში, როდესაც ოფიციალურად შედგება ქვეკომიტეტის სამუშაო სხდომების ოქმი ქვეკომიტეტის 2010-2013 წლების

სამოქმედო გეგმის ჩამოსაყალიბებლად, ქვეკომიტეტის ყველა წევრი-ქვეყანა, სურვილისამებრ, უნდა გაწევრიანდეს იმ სამუშაო ჯგუფში, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უზრუნველყოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შემდგომი განვითარება.

ვფიქრობთ, რომ საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების ეტაპის გათვალისწინებით, შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგიის შესახებ ცოდნის გაღრმავება და მისი დანერგვა არის ის მიმართულება, სადაც ჩვენი აქტიურობა სასარგებლო იქნება როგორც თავად კონტროლის პალატისათვის, ისე, განვითარების ანალოგიურ ეტაპზე მყოფი სხვა ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ორგანოებისათვის.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ კონტროლის პალატაში შემუშავდეს საერთაშორისო სტანდარტების საპრეზენტაციო და სამუშაო მასალები, რომლებიც საშუალებას მისცემს ყველა დაინტერესებულ პირს, და უპირატესად, აუდიტორებს, გაეცნონ მას და აუდიტორული საქმიანობა მიუსადაგონ საუკეთესო პრაქტიკას.

ამასთან, შესაბამისობის აუდიტის სახელმძღვანელო შეიცავს არაერთ საინტერესო და საგულისხმო ასპექტს, რომელიც შეიძლება აისახოს საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის მარეგულირებელ ნორმატიულ ბაზაში.

ამასთანავე, ის საბოლოო პროდუქტი, რომელიც უნდა შემუშავდეს, არის შესაბამისობის აუდიტის სახელმძღვანელო, ფინანსური და ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოს მსგავსად. საქართველოს კონტროლის პალატის ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელო ითვალისწინებს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას ფინანსურ აუდიტთან ერთად, თუმცა, არ ითვალისწინებს შესაბამისობის აუდიტის სახელმძღვანელოთი (ISSAI 4000) გათვალისწინებულ რიგ საკითხებს, რომლებიც უფრო დეტალურია და შეიცავს სახელმძღვანელო პრინციპებსა და მითითებებს კონკრეტულ გარემოებებში მოქმედებისათვის.

ქვეკომიტეტის მომდევნო სხდომა გაიმართება ერთ წელიწადში, ქვეკომიტეტის ნებისმიერ წევრ-ქვეყანაში, მასპინძლის ინიციატივით. მათ შორის, შესაძლებელია, რომ მომდევნო სესიებს საქართველოს კონტროლის პალატამაც უმასპინძლოს.